



თბილისის სააპელაციო სასამართლო  
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა  
საქართველოს სახელით  
კერძო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ

საქმე №28/553-14

29 ოქტომბერი 2014 წელი  
თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატა  
ქეთევან კუჭავა (თავმჯდომარე, მომხსენებელი)  
მოსამართლეები:  
თამარ ზამზახიძე  
თინათინ ეცადაშვილი

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი განხილვის გარეშე.

კერძო საჩივრის ავტორი – ი. გ.  
წარმომადგენელი – პ. კ.

მოწინააღმდეგე მხარე – შპს „ს. ჯ. გ.“

გასაჩივრებული განჩინება – რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 ივნისის განჩინება

დავის საგანი – ხელშეკრულების დადებისა და მისი შესრულების დავალდებულება

საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული განჩინების დასკვნებზე მითითება:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 ივნისის განჩინებით ი. გ.-ს სარჩელი შპს „ს. ჯ. გ.“-ს მიმართ ვალდებულების შესრულების თაობაზე არ იქნა მიღებული სასამართლოს წარმოებაში.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ, რადგან მოცემულ ემთხვევაში, მოპასუხე შპს „ს. ჯ. გ.-ს“ რეგისტრაციის ადგილია ქ. ყვარელი, რუსთავის საქალაქო სასამართლო არ წარმოდგენს განსჯად სასამართლოს, ხოლო განსჯადი სასამართლოა გურჯაანის რაიონული სასამართლო, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლით განსაკუთრებული



განსჯადობის წესები გამოიყენება მხარეთა შორის უკვე დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავაზე და არა სამომავლოდ დასადები ხელშეკრულების შერულების ადგილის მიხედვით, რის გამოც მოსარჩელემ სარჩელით უნდა მიმართოს განსჯად სასამართლოს მოპასუხის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 25.06.2014წ. განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა ი. გ.-მ, რომელიც განსახილველად გადმოეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლო.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, წარმოდგენილი სარჩელის მიხედვით, დავის საგანს წარმოადგენს ხელშეკრულების დადება და შესრულება, ხოლო საკუთრივ ხელშეკრულების დადების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულების დადების ვალდებულების შესრულება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლი), მატერიალურ სამართლებრივი თვალსაზრისით, სახელშეკრულებო სამართლის სფეროში შესავალი საკითხია.

სასამართლოს მოტივაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლი განსაკუთრებულ განსჯადობას უქვემდებარებს უკვე დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებს, აღნიშნული საპროცესო ნორმის ვიწრო განმარტებას ეფუძნება, რადგან ამ უკანასკნელის მიზნებიდან გამომდინარე, უკვე დადებული და მომავალში დასადები ხელშეკრულებიდან გამომდინარე, უკვე დავების გახლეჩა და მათ მიმართ განსჯადობის განსხვავებული წესებისა და პრინციპების დადგენა, საკითხისადმი არამართებული მიდგომაა, როგორც მისი მატერიალურ სამართლებრივ ჭრილში შეფასების თვალსაზრისით, ისე საპროცესო ეკონომიის პრინციპის დაცვის კუთხით.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი სარჩელის მიხედვით, ხელშეკრულების შესრულების ადგილს ცალსახად წარმოადგენს ქ. რუსთავი, მოცემული საქმე რუსთავის საქალაქო სასამართლოს განსჯადს წარმოადგენს, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არსებობს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 23.06.2014წ. განჩინება, რომლითაც იგივე სარჩელი არ იქნა მიღებული და სასამართლომ დაადგინა, რომ სარჩელი რუსთავის საქალაქო სასამართლოს განსჯადია, ასევე იმ გარემოების მხედველობაში მიღებითაც, რომ სარჩელში მოპასუხის ფაქტობრივ ადგილსამყოფელად მითითებულია ქ.რუსთავი, დავით გარეჯის XX, სადაც განთავსებულია მოპასუხე კომპანიის ადმინისტრაციის ის ნაწილი, რომლითაც იგი მომსახურებას ქ. რუსთავში ახორციელებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 06 აგვისტოს განჩინებით კერძო საჩივარი მიღებული იქნა განსახილველად.

**სააპელაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ კერძო საჩივარს, შეისწავლა საქმის მასალები, მიაჩნია, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლი ადგენს, რომ კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სააპელაციო საჩივრის (კერძო საჩივრის) ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს



393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და/ან სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

განსახილველ შემთხვევაში, პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინებით არასწორად ეთქვა უარი მოსარჩელეს წარდგენილი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განცხადების მიღებასა და საქმის განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძველებითა და წესით. ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუ სარჩელი ამ სასამართლოს განსჯადი არ არის. ამავე კოდექსის მე-16 მუხლი ადგენს განსაკუთრებული განსჯადობის წესებს, კერძოდ, მე-2 ნაწილის მიხედვით ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს, დაევალოს შპს „ს. ჯ. გ.-ს“ ი. გ.-სთვის ბუნებრივი აირის მიწოდება ქ. რუსთავში, მე-XX მიკრო რაიონში, NX-ის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ობიექტზე და შესაბამისი ხელშეკრულების დადება.

სააპელაციო პალატა იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის იმგვარი განმარტება, რომ იგი არეგულირებს მხოლოდ უკვე დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავების განსჯადობას, არ გამომდინარეობს ნორმის მიზნიდან და მისი სწორი განმარტებიდან. კანონი არ ითვალისწინებს უკვე დადებული და მომავალში დასადები ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დავების განსჯადობის განსხვავებულ წესებს.

პალატა განმარტავს, რომ ვალდებულების შესრულების ადგილის დადგენისათვის გადამწყვეტია ვალდებულების შესასრულებლად მოვალის მიერ განსახორციელებული მოქმედების შესრულების ადგილის განსაზღვრა. შესაბამისად, სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე დავების განსჯადობაც სწორედ მოქმედების (ვალდებულების) განხორციელების ადგილზეა დამოკიდებული.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, ი. გ. ითხოვს ბუნებრივი აირის მიწოდებას ქ. რუსთავში, მე-XX მიკრო რაიონში, NX-ის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ობიექტზე და შესაბამისი ხელშეკრულების დადებას, პალატა მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების შესრულების ადგილს ქ. რუსთავი, ხოლო განსჯად სასამართლოს რუსთავის საქალაქო სასამართლო წარმოადგენს.

ამასთან, სააპელაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 23 ივნისის განჩინებაზეც, რომლითაც ნ. გ.-ს უარი



ეთქვა ზემოაღნიშნული მოთხოვნით სარჩელის წარმეობაში მიღებაზე და განემარტა, რომ აღნიშნული სარჩელით უნდა მიემართა რუსთავის საქალაქო სასამართლოსთვის. იმის გათვალისწინებითაც, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლი დაუშვებლად მიიჩნევს სასამართლოებს შორის განსჯადობის შესახებ დავას, მოსარჩელეს სრული საფუძველი გააჩნდა იმ ვარაუდისათვის, რომ მას განმეორებით სარჩელი განსჯადობის წესების დაცვით სწორედ რუსთავის საქალაქო სასამართლოში უნდა წარედგინა.

ამდენად, სსსკ-ის 385-ე მუხლის შესაბამისად უნდა გაუქმდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 23.06.2014წ. განჩინება და სარჩელი დასაშვებობის ეტაპიდან განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 377-ე, 390-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით

#### და ა დ გ ი ნ ა:

1. ი. გ.-ს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 25.06.2014წ. განჩინება სარჩელის წარმეობაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ და საქმე დასაშვებობის ეტაპზე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. განჩინება არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე:

ქ. კუჭავა

მოსამართლეები:

თ. ზამზახიძე

თ. ეცადაშვილი